ოქმი:**ო03. 3725356001**

თარიღი:**22/12/2025**

ოქმი № 4

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

2025 წელი, 19 დეკემბერი
ქ.ოზურგეთი
16:30 - საათი

თავმჯდომარეობდა: გელა ჩავლეშვილი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. გოლიაძე, დ. ასათიანი, დ. კიკვაძე, გ. კალანდაძე, ნ. გობრონიძე, ქ. ხომერიკი, ვ.ხავთასი, გ. გაბისინანი, კ. კვაჭაძე, ი. ჩიკაშუა, დ. თოიძე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დ.დარჩია

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი პ.ჭყონია,

სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის განხილვის შესახებ“

მომხსენებელი: გელა ჩავლეშვილი

თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია

სხდომის თავმჯდომარემ, გ. ჩავლეშვილმა, კომისიის წევრებს მოკლედ მიაწოდა ინფორმაცია მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის კორექტირებულ პროექტზე, აღნიშნა, რომ საკრებულოში შემოტანილი იქნა არსებული კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში და პროცედურების დაცვით, შემდეგ პროექტის გასაცნობად სიტყვა გადასცა თანამომხსენებელ პ. ჭყონიას, რომელმაც კომისიის წევრებს გააცნო 2026 წლის კორექტირებული ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები, 2026 წლის ბიუჯეტის ოდენობა განისაზღვრება 48070,0 ათასი ლარით, შემდეგ პ.ჭყონიამ კომისიის წევრებს მიაწოდა კონკრეტული ინფორმაცია ბიუჯეტის პრიორიტეტებით გათვალისწინებული პროგრამების, ქვეპროგრამების დაფინანსებაზე, რომლებიც ფუნქციურად კომისიის შესწავლისა და განხილვის საგანია. აღინიშნა, რომ ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის გამოყოფილი თანხები კორექტირებულ ბიუჯეტში გაიზარდა 2175 ათასი ლარით და შეადგინა 8250 ათასი ლარი. ამის შემდეგ თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ ისაუბრა საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების და ფრაქციების მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და რეკომენდაციების ბიუჯეტში გათვალისწინების თაობაზე და განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა დარგობრივი კომისიების

შენიშვნებზე. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და წარმოდგენილი საკითხი წარედგინოს მუნიციპალიტეტის ბიუროსა და საკრებულოს სხდომას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი